გრანატების ჯგუფის მინერალების კლასიფიკაცია, მათი გავრცელება და მნიშვნელობა

მარიამ ქელეხსაშვილი, მარიამ ქერქაძე
mariam.kelekhsashvili950@ens.tsu.edu.ge, mariam.qerqadze811@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

გრანატები წარმოადგენს სილიკატური მინერალების ჯგუფს, რომლებიც წარმოშობით დაკავშირებულია მეტამორფულ და მაგმურ ქანებთან. ისინი გამოირჩევა იზომეტრიული ფორმის კრისტალებით, მაღალი სიმაგრითა და ფერთა მრავალფეროვნებით. გრანატების ჯგუფის მინერალების ქიმიური შემადგენლობა განსხვავებულია და გამოიყოფა ორი იზომორფული რიგი: პირალსპიტები – პიროპ-ალმანდინ-სპესარტინი და უგრანდიტები – გროსულარ-ანდრადიტ-უვაროვიტი.

მოხსენებაში განხილულია გრანატების ჯგუფის ძირითადი მინერალთა სახეობები, მათი თვისებები და წარმოშობის პირობები. გრანატების სხვადასხვა სახეობები ასახავს ქანის მეტამორფული წარმოშობის პირობებს და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის წნევა-ტემპერატურული პირობების რეკონსტრუქციაში.